

შპს „პინო„

ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	7

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	9
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----	9
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა -----	9
ფინანსური ინსტრუმენტები -----	10
ძირითადი საშუალებები -----	11
არამატერიალური აქტივები -----	11
მარაგები -----	12
შემოსავლები -----	12
ხარჯები -----	12
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები -----	12
ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები -----	13
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----	13
პირობითი ვალდებულება -----	13

შპს „პინო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018	01/01/2017
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	42550	387	9934	966
სავაჭრო მოთხოვნები	191801	67133	63389	16907
მარაგები	572214	571055	367574	244451
მზა პროდუქცია	119761	101553	51359	58838
სხვა	452453	469502	316215	185613
ძირითადი საშუალებები	1347255	1219075	1206371	896868
სულ აქტივები	2153820	1857650	1647268	1159192
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	77405	83782	84960	77863
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	53214	54369	12876	12235
საგადასახადო ვალდებულებები	15194	38115	3594	9500
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	980348	775875	909084	827588
სხვა ვალდებულებები	38979	7910	0	0
სულ ვალდებულებები	1165140	960051	1010514	927186
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	988680	897599	636754	232006
სულ საკუთარი კაპიტალი	988680	897599	636754	232006
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2153820	1857650	1647268	1159192

დირექტორი:

ბ.ტყემალაძე

მთავარი ბუღალტერი:

მ.ულუმბელაშვილი

შპს „პინო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018	01/01/2017
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	42550	387	9934	966
სავაჭრო მოთხოვნები	191801	67133	63389	16907
მარაგები	572214	571055	367574	244451
მზა პროდუქცია	119761	101553	51359	58838
სხვა	452453	462502	316215	185613
ძირითადი საშუალებები	1347255	1219075	1206371	896868
სულ აქტივები	2153820	1857650	1647268	1159192
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	77405	83782	84960	77863
ვალდებულებები დანაშრომელთა მიმართ	53214	54369	12876	12235
საგადასახადო ვალდებულებები	15194	38115	3594	9500
გრძელვადიანი ნასესხო ვალდებულებები	980348	775875	909084	827588
სხვა ვალდებულებები	38979	7910	0	0
სულ ვალდებულებები	1165140	960051	1010514	921186
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	988680	897599	636754	232006
სულ საკუთარი კაპიტალი	988680	897599	636754	232006
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2153820	1857650	1647268	1159192

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

Handwritten signature

ბ.ტყეშელაშვილი

მ.უღუშბელაშვილი

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის,რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს . (ლარი)

საქმიანობის შედეგები	2019	2020
ნეტო ამონაგები	3176691	3479407
საქონლის გაყიდვიდან	3176691	3479407
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1851738	-2190710
საწყისი მარაგები	-367574	-571055
მარაგების შესყიდვა	-2055219	-2191869
საბოლოო მარაგები	571055	572214
საერთო მოგება	1324953	1288697
დასაქმებულთა ანაზღაურება	-428537	-302513
ცვეთა და ამორტიზაცია	-92311	-73918
საპროცენტო ხარჯი :	-84610	-92209
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-458650	-728976
სულ საოპერაციო ხარჯები	-1064108	-1197616
საოპერაციო მოგება	260845	91081
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	260845	91081
მოგება/(ზარალი)	260845	91081
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	260845	91081
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	636754	897599
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	897599	988680

დირექტორი:

ბ.ტყემალაძე

მთავარი ბუღალტერი:

მ.ულუმბელაშვილი

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბრს, (ლარი)

	2019	2020
საქმიანობის შედეგები		
სუბსიდიები	3176691	3479407
საქონლის გაყიდვიდან	3176691	3479407
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1851738	2190710
საწყისი მარაგები	-367574	-571055
მარაგების შესყიდვა	-205219	-2191850
ბალანსო მარაგები	571055	572214
აქრთის მოგება	1324953	1288597
დასაქმებულის ანაზღაურება	-428537	-302513
ღირებულება და ამორტიზაცია	-92311	-73318
ამპროცენტო ხარჯი :	-84610	-92209
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-458650	-728976
სულ საოპერაციო ხარჯები	1064108	-1197616
საოპერაციო მოგება	260845	91081
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე გაწვრთბილი ოპერაციებიდან	260845	91081
მოგება/(ზარალი)	260845	91081
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	260845	91081
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის დაწყების ნაშთი)	636754	897599
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	897599	988680

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



07/17

ბ.ტყემალაძე

მ.უღუმბელაშვილ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარი)		
ფულადი სახსრების მოძრაობა	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	42163	-9547
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	42163	-9547
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	387	9934
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	42550	387

დირექტორი:

ბ.ტყემალაძე

მთავარი ბუღალტერი:

მ.ულუმბელაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება საანგარიშო წლითიჯის, რამელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარი)		
ფულადი სახსრების მოძრაობა	2020	2019
წმინდა ფულადი: სახსრები სოპარაციო საქმიანობიდან	42163	-9547
წმინდა შრდა (კლუბა) ფულსა და ფულთან ეკვივალენტებში	42163	9547
ფული და ფულთან ეკვივალენტები წლის დასაწყისში	387	9934
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლის	42550	387

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

ბ.ტყემალაძე

მ.ულუმბელაშვილი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „პინო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 1998 წლის 16 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით /243876132 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს; ნახევარფაბრიკატების წარმოება, რეალიზაცია, ნაყინის წარმოება რეალიზაცია
კომპანიის იურიდიული მისამართია: ხაშური იმერეთის ქუჩა # 122;

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ და ეყრდნობა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები : წარმოდგენილი იყო შემდეგი ;

	31.12.2018	31.12.2019	31.12.2020
	63389.00	67133.00	191801

მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები ;

	31.12.2018	31.12.2019	31.12.2020
ბანკი	8834.00		34756
სალარო	1100.00	387.00	4794

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას.

ფინანსური ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად :			
	31.12.2018	31.12.2019	31.12.2020
	909084 .00	775875.00	980348

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეიტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად :

	31.12.2018	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები ;	84960.00	83782.00	77405
ვალდებულება პერსონალის მიმართ ;	12876.000	54369.00	53214
საგადასახადო ვალდებულება ;	3594.00	38115.00	15194
სხვა ვალდებულებები ;		7910,00	38979

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანდგარი	სულ
2020წ. 1იანვრისათვის	35000	151130	1232935	1219066
შეძენა		67904.98	144320.1	212224
ცვეთა		7556.5	66362.28	73918
რეალიზაცია			10117	10117
2019წ. 1იანვრისათვის	35000	159085	1012286	1206371
შეძენა			105006	105006
ცვეთა		7554	84357	92311
2020წ. 31დეკემბერი	35000	211479	1100776	1347255

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად ;

31.12.2018	31.12.2019	31.12.2020
70781.00	92311.00	73918

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

მარაგები

	31.12.2018	31.12.2019	31,12,2020
	367574.00	571055,00	572214

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, რეალიზირებული საქონლის ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

	31.12.2018	31.12.2019	31,12,2020
	2696160.00	3176691,00	3479407

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

	31.12.2018	31,12,2019	31,12,2020
	389158.000	458650,00	728976

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სახელფასო განაცემები

	31.12.2018	31,12,2019	31,12,2020
დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი	391261 .00	428537,00	302513

ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2766

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - 2019 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

3. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.